

**პოსტსაბჭოთა სივრცეში ქვეყნების  
პოლიტეკონომიკური განვითარება - საქართველოსა  
და ესტონეთის მაგალითი**



**თეიმურაზ ვაშაკიძე**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები) /**

**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**

**სამაგისტრო ნაშრომი**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2020**

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

თეიმურაზ ვაშაკიძე. 07/10/2020

## სარჩევი:

აბსტრაქტი -----	1
შესავალი - საკითხის აქტუალობა -----	3
კვლევის კითხვა: -----	5
კვლევის ჰიპოთეზა: -----	6
კვლევის მეთოდოლოგია:-----	6
ნდობის ფაქტორი და ნეოლიბერალიზმი: -----	7
ლიტერატურის მიმოხილვა: -----	9
ესტონეთი: გარდამავალი (ტრანზიციული) ქვეყანა -----	13
ესტონეთის ტექნოლოგიური განვითარება:-----	19
ესტონეთი: წარმატება და შედეგები:-----	20
საქართველო - გარდამავალი (ტრანზიციული) ქვეყანა -----	22
ქართული იდენტობა და რუსეთის როლი საქართველოს ტრანზიციის პერიოდში:-----	26
საქართველოს ტრანზიციულობის შედეგები: -----	28
მოგების გადასახადი - „ესტონური მოდელი“ საქართველოში:-----	29
ესტონეთი და საქართველო - ქვეყნების პოლიტეკონომიკური ანალიზი და შედარება: -----	31
ესტონეთის პოლიტეკონომიკური ანალიზი: -----	31
საქართველოს პოლიტეკონომიკური ანალიზი: -----	33
დასკვნა:-----	37
დანართი:-----	39
ბიბლიოგრაფია:-----	41

## აბსტრაქტი:

დღესდღეობით, ესტონეთის განვითარებას ერთგვარ სასწაულსაც უწოდებენ. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, თუ რატომ ვერ მოახერხა საქართველომ ეხელმძღვანელა ესტონეთის მაგალითით ნეოლიბერალური და დემოკრატიული ხედვების ფარგლებში.

კვლევაში განხილულია ორი ქვეყნის - საქართველოსა და ესტონეთის გარდამავალი პერიოდი, რომლის მიხედვითაც, ორმა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ, მეტნაკლებად თანაბარ პირობებში მიაღწია სხვადასხვა შედეგებს. შედეგების მიხედვით გაკეთდა შედარებითი ანალიზი, სადაც იკვეთება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებმაც ყველაზე მეტად იქონიეს გავლენა ესტონეთის წარმატებაზე, ხოლო საქართველოს შემთხვევაში წარმატება ნაკლებად შემჩნევადია. ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქვეყნების მმართველი ელიტის როლს, რომელიც ესტონეთის შემთხვევაში საქართველოსთან შედარებით ხასიათდება მეტი სიმტკიცით. განხილულია ნეოლიბერალიზმი, ნდობის ფაქტორი, პოლიტიკური რეფორმები, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა და დემოკრატიის როლი, როგორც განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები.

საქართველოს შემთხვევაში, ნაშრომში ყურადღება ეთმობა ე.წ. „ესტონურ მოდელს“, რომელიც 2017 წელს საქართველომ გამოიყენა იმ იდეით, რომ შეძლებდა ესტონეთის მსგავსად მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდას, რაც ეკონომიკური ზრდისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ნაშრომის მთავარი მიზანია გამოიკვლიოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც ყველაზე მეტად მოახდინეს გავლენა ესტონეთის

პოლიტეკონომიკურ განვითარებაზე, რაც საქართველოს შემთხვევაში ანალოგიური შედეგებით არ დასრულებულა.

**საკვანძო სიტყვები:** ნეოლიბერალიზმი, დემოკრატია, ნდობის ფაქტორი, პოლიტიკა, ეკონომიკა, ტრანზიცია.